ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი „პროგრესის სახლი“-ს საგაზეთო ჩანართი N11



# თვითმმართველობა

**ბიუჯეტები ინფოგრაფიკებში**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი**

ნომერი მომზადდა გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საფუძველზე

## 13.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01) პროგრამის ბიუჯეტი: 585 000 ლარი.

პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება რაც ხელს შეუწყობს ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას, გაგრძელდება მუშაობა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მოხდება გზების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან.

## 13.1.1 გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის პროგრამა

გზების მოხრეშვა შრომაში, ნატანებში, თხინვალში, სილაურში,კონჭკათში, ჯუმათში, ჭანიეთში, ასკანაში, მთისპირში, ბახვში, ურეკი, ბაილეთში, ბოხვაური, გურიანთაში, დვაბზუში, ვაკიჯვარში, ლიხაურში, მაკვანეთში, მელექედურში, მერიაში, ნაგომარში, სოფელ ოზურგეთში, შემოქმედში, ცხემლისხიდში, ძიმითში, ნარუჯაში, ლაითური, ნასაკირალში. საერთო მოცულობა -
8700 კბ.მ




## 13.1.1 ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური

## 13.1.1 ქვეპროგრამის აღწერა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება; ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა მნიშვნელობის გზების მდგომარეობის შენარჩუნება, სავალი ნაწილის, ტროტუარებისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგება და სანიაღვრე არხების გაწმენდა. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება, ტრანსპორტითა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

## მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა;
- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

## შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული გზების, მათ შორის ისტორიულ და ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი გზების რაოდენობრივი მაჩვენებელი (შიდა გზების მოხრეშვა-მოსწორება ინერტული მასალით პრობლემური გზების მონაკვეთებზე სავარაუდო მოცულობით 8700 კბ.მ);
- შიდა გზების კრიტიკულ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის მოწყობა სავარაუდო სიგრძით 1,13 კმ;
- გაუმჯობესებული მიმოსვლა (გადაადგილებისათვის საჭირო დროის შემცირება რეაბილიტაციის შემდეგ მოცემულ მონაკვეთზე);